

ამონარიდი - შინაგანაწესი, დანართი № 02
„აკადემიური ეთიკის კოდექსი, პრინციპები და სტანდარტები“
სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მარეგულირებელი დებულება

პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილების, პლაგიატის შემთხვევაზე
რეაგირების პროცედურები და მექანიზმები

აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტი

1. აკადემიური, სამეცნიერო-კვლევითი და სხვ. საქმიანობისას ბნსუ-ს აკადემიური საზოგადოების წევრები ვალდებული არიან დაიცვან აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტები;
2. ბნსუ-ში პლაგიატად მიიჩნევა ინფორმაციის წყაროს ადეკვატური (სრული და ზუსტი) მითითების გარეშე საკუთარ ნაშრომში სხვისი იდეების, მონაცემების, ტექსტების, გამოსახულებების, გამონათქვამების ან სხვ. (შემდგომში - ნაშრომის ფრაგმენტები) გადმოტანა: უცვლელად ან ისეთი ცვლილებებით, რომელთა შედეგად უცვლელი რჩება გამოყენებული ნაშრომის ფრაგმენტის არსი;
3. ინფორმაციის/მონაცემების/სხვ. გაყალბებად, ფალსიფიცირებად, მანიპულირებად მიიჩნევა აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტის ისეთი დარღვევები, როგორცაა არარსებული ინფორმაციის/მონაცემების/წყაროების მითითება, საკუთარი შეხედულებისამებრ არსებული ინფორმაციის/მონაცემების შეცვლა, არასწორი წყაროს მითითება ან წყაროს აღწერისას მონაცემებით მანიპულირება და სხვ.;
4. ბნსუ-ში დაუშვებელია:
 - პლაგიატი (მათ შორის, თვითპლაგიატი), ინფორმაციის/მონაცემების/სხვ. გაყალბება, ფალსიფიცირება, მანიპულირება (მათ შორის: არარსებული ინფორმაციის/მონაცემების/წყაროების მითითება, საკუთარი შეხედულებისამებრ არსებული ინფორმაციის/ მონაცემების შეცვლა, არასწორი წყაროს მითითება ან წყაროს აღწერისას მონაცემებით მანიპულირება);
 - ნაშრომის შემსწავლელი კომისიის წევრის ფუნქციის ბოროტად გამოყენება და საკუთარი მიზნებისთვის კონკურსზე წარდგენილ ნაშრომებში არსებული ინფორმაციის, მონაცემების, კვლევის შედეგების, დასკვნებისა და სხვ. გამოყენება;
 - დაუსაბუთებლად თანავეტორობის მოთხოვნა;
 - კვლევის ჰიპოთეზის, დასკვნების და/ან სხვ. საწინააღმდეგოდ გამოტანილი/გამოთქმული დასკვნების/მოსაზრებების დამალვა;
 - ემპირიული კვლევის მეთოდის შესახებ განზრახ არასწორი ინფორმაციის წარდგენა;
 - სამეცნიერო საქმიანობაში კონკრეტული პირების მიერ ინტელექტუალური წვლილის დამალვა ან უარყოფა;
 - ხელნაწერების, ემპირიული კვლევის მონაცემების, ემპირიული მასალების ნიმუშების და სხვ. მოპარვა ან განზრახ დაზიანება/ განადგურება, დასკვნების, ანგარიშების და სხვ. გაყალბება;
 - პირადი ანტიპატიის, კონკურენციის ან სხვა მოტივით პირის/მისი ნაშრომის არაკორექტული, ტენდენციური კრიტიკა;
 - აკადემიური/სამეცნიერო საქმიანობისას სხვის ნაცვლად კვლევის/ნაშრომის/სხვ. შესრულება და/ან ამის საცანცვლოდ პირდაპირი ან ირიბი გზით რაიმე სახის ფინანსური ან მატერიალური სარგებლის ან/და მომსახურების მიღება;
 - ისეთი საქმიანობის ხელშეწყობა, რომლითაც ირღვევა აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპები.
5. ბნსუ-ში სავალდებულოა:
 - სამეცნიერო კვლევით საქმიანობაში ჩართულმა პირმა დაიცვას აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტები;
 - ნაშრომის ხელმძღვანელმა, რევენუენტმა, ნაშრომის შემსწავლელი კომისიის წევრმა, სხვ. დაიცვას აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტები და სათანადოდ შეასრულოს დაკისრებული მოვალეობები;
 - ნაშრომზე მუშაობის დაწყებამდე ხელმძღვანელმა სტუდენტს აუხსნას წყაროებთან მუშაობის, სხვისი ციტატების/მონაცემების/ გამოსახულებების/სხვ. გამოყენების და ნაშრომში ასახვის წესები, განუმარტოს აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტების არსი, შესრულების მნიშვნელობა და მათი დარღვევისთვის დაწესებული სანქციები.

აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტის დაცვის ვალდებულება

1. ბნსუ-ში მოქმედებს შემდეგი წესი:

- აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტების ნებისმიერი დარღვევა მიიჩნევა აკადემიური ეთიკის კოდექსის დარღვევად, იწვევს დისციპლინურ წარმოებას და ბნსუ-ს შინაგანაწესით გათვალისწინებული დისციპლინური სასჯელის დაკისრებას;
- პლაგიატის, ინფორმაციის გაყალბების, ფალსიფიცირების ან მანიპულირების ფაქტები უნდა იქნეს გამოვლენილი ნაშრომის გამოქვეყნების ან ნებისმიერი სხვა გზით ლეგალიზების მომენტამდე;
- პლაგიატის გამოვლენის მიზნით ნაშრომის შემსწავლელი პირ(ებ)ი იყენებენ სხვადასხვა რესურსს, მათ შორის - ელექტრონულს;
- პერსონალის სამეცნიერო სტატიებში, ნაშრომებში, მონოგრაფიებში, სახელმძღვანელოებში და სხვ. პლაგიატის, ინფორმაციის გაყალბების, ფალსიფიცირების ან მანიპულირების ფაქტები უნდა იყოს გამოვლენილი რეცენზენტების მიერ;
- სტუდენტის საბაკალავრო, სამაგისტრო/სხვა კვლევითი ნაშრომების შემთხვევაში პლაგიატის, ინფორმაციის/მონაცემების/სხვ. გაყალბების, ფალსიფიცირების ან მანიპულირების ფაქტების გამოვლენის პასუხისმგებლობა აკისრიათ ნაშრომის ხელმძღვანელს და რეცენზენტებს (საკურსო თეორიული ნაშრომის/ესე/სხვ. შემთხვევაში - ნაშრომის ხელმძღვანელს/პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელს);
- ნაშრომის ხელმძღვანელი ვალდებულია სტუდენტის ნაშრომზე მუშაობის დასრულებამდე პერიოდულად შეამოწმოს ნაშრომი პლაგიატის, ინფორმაციის/მონაცემების/სხვ. გაყალბების, ფალსიფიცირების ან მანიპულირების ფაქტების გამოვლენის მიზნით. რეცენზენტი ამოწმებს უკვე დასრულებულ (სარეცენზიოდ გადმოცემულ) ნაშრომს;
- საბაკალავრო, სამაგისტრო/სხვა კვლევითი ნაშრომის ხელმძღვანელი და რეცენზენტები, სამეცნიერო ნაშრომის/სახელმძღვანელოს/მეთოდური მასალის/სტატიის/სხვ. (შემდგომში - ნაშრომი) რეცენზენტები, აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტების დარღვევის შემსწავლელი კომისიის წევრები ადგენენ რამდენად სწორადაა ნაშრომში მითითებული წყაროები და გამოყენებული ციტატები/მონაცემები/სხვ., არსებობს თუ არა პლაგიატის, ინფორმაციის/მონაცემების/სხვ. გაყალბების, ფალსიფიცირების ან მანიპულირების ნიშნები;
- შესწავლის შედეგად ნაშრომის ხელმძღვანელის და რეცენზენტის დასკვნაში ნაშრომი შეიძლება დახასიათდეს შემდეგნაირად:
 - 1) ნაშრომი მოიცავს მხოლოდ სწორად გამოყენებულ და მითითებულ ციტატებს/მონაცემებს/სხვ., წყაროები სრულად და ზუსტადაა მითითებული;
 - 2) ციტატების/მონაცემების/სხვ. გამოყენებისას და წყაროების მითითებისას დაშვებულია ფორმალური ხასიათის დარღვევები, რომლებიც არ ატარებენ პლაგიატის, ინფორმაციის გაყალბების, ფალსიფიცირების ან მანიპულირების ნიშნებს. ამ შემთხვევაში ნაშრომის ავტორს ეძლევა ვადა (სამეცნიერო ნაშრომი/სახელმძღვანელო/სხვ. - 01 თვე, საბაკალავრო/სამაგისტრო/სხვ. ნაშრომი - 05 კალენდარული დღე) ხარვეზების გამოსასწორებლად, რის შემდეგ ხდება გასწორებული ხარვეზების შემოწმება;
 - 3) ნაშრომში ფიქსირდება ინფორმაციის არაკორექტული გამოყენების შემთხვევები, რომლებიც ატარებენ პლაგიატის, ინფორმაციის გაყალბების, ფალსიფიცირების ან მანიპულირების ნიშნებს. ამ შემთხვევებში აუცილებელია ნაშრომის ავტორმა განმარტოს და დაასაბუთოს აღნიშნული ფაქტები. დასაბუთებული განმარტების არარსებობის შემთხვევაში მისი ქმედება განიხილება როგორც პლაგიატი, ინფორმაციის/მონაცემების/სხვ. გაყალბება, ფალსიფიცირება ან მანიპულირება და ნაშრომის ავტორი კარგავს განმეორებით იმავე ნაშრომის წარდგენის უფლებას;
- პლაგიატის, ინფორმაციის/მონაცემების/სხვ. გაყალბების, ფალსიფიცირების ან მანიპულირების ფაქტების გამოვლენის შემთხვევაში ნაშრომის ხელმძღვანელის/რეცენზენტის წერილობით დასაკვანაში, ნაშრომის შემსწავლელი კომისიის შემთხვევაში - ოქმში უნდა იყოს მითითებული აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტის დარღვევის ფაქტის დასაბუთება. დასკვნა დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ნაშრომის ავტორს და გადაეცეს აკადემიური საბჭოს თავმჯდომარეს (ბნსუ-ს რექტორს);
- პირს, რომელიც არ ეთანხმება დასკვნაში დაფიქსირებულ პლაგიატის, ინფორმაციის/მონაცემების/სხვ. გაყალბების, ფალსიფიცირების ან მანიპულირების ფაქტებს, უფლება აქვს დასკვნის გაცნობიდან 05 სამუშაო დღეში (ბნსუ-ში განცხადებების/საჩივრების წარდგენისთვის დადგენილი წესით) წერილობითი სააპელაციო განცხადებით მიმართოს აკადემიური საბჭოს თავმჯდომარეს (ბნსუ-ს რექტორს), ასევე, მას შეუძლია მოითხოვოს საკითხის განხილვაზე დასწრება და ზეპირად არგუმენტების წარდგენა (მოთხოვნა უნდა იყოს მითითებული სააპელაციო განცხადებაში); აპელაცია უნდა იყოს დასაბუთებული, მასში მკაფიოდ უნდა იყოს მითითებული რას აპროტესტებს ნაშრომის ავტორი, მისი არგუმენტები უნდა იყოს მკაფიოდ და ლაკონურად ჩამოყალიბებული. ზოგადი ხასიათის აპელაცია არ განიხილება, გადაწყვეტილება აპელაციის

განუხილველად დატოვებაზე საბოლოო და გასაჩივრებას არ ექვემდებარება. ნაშრომის ხელმძღვანელს, რეცენზენტს შეუძლია დასკვნის ჩაბარებისთანავე მიმართოს განცხადებით აკადემიური საბჭოს თავმჯდომარეს (ბნსუ-ს რექტორს) და მოითხოვოს საკითხის განხილვაში მონაწილეობა - საკუთარი მოსაზრებებისა და არგუმენტების ზეპირი წარდგენის შესაძლებლობა;

- საბაკალავრო, სამაგისტრო/სხვა კვლევით ნაშრომში, სამეცნიერო ნაშრომში/სახელმძღვანელოში/მეთოდურ მასალაში/სხვ. პლაგიატის, ინფორმაციის/მონაცემების/სხვ. გაყალბების, ფალსიფიცირების ან მანიპულირების ფაქტების დაფიქსირების შემთხვევაში აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე (ბნსუ-ს რექტორი) არაუმეტეს 02 სამუშაო დღეში იწვევს აკადემიური საბჭოს სხდომას. აკადემიური საბჭო განიხილავს დასკვნას და სააპელაციო განცხადებას (არსებობის შემთხვევაში), საჭიროების შემთხვევაში ქმნის აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტების დარღვევის შემსწავლელ კომისიას. აკადემიური საბჭო/საბჭოს მიერ შექმნილი კომისია უფლებამოსილია სხდომაზე მოიწვიოს დაინტერესებული პირი, ნაშრომის ხელმძღვანელი, რეცენზენტი, დამოუკიდებელი ექსპერტები. აკადემიური საბჭო/აკადემიური საბჭოს მიერ შექმნილი კომისია 05 სამუშაო დღეში განიხილავს საკითხს და ამზადებს დასაბუთებულ დასკვნას, რომელიც არის საბოლოო. პლაგიატის, ინფორმაციის/მონაცემების/სხვ. გაყალბების, ფალსიფიცირების ან მანიპულირების ფაქტების დადასტურების შემთხვევაში აკადემიური საბჭო მიმართავს რექტორს პირის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყების თაობაზე;
- პლაგიატის, ინფორმაციის/მონაცემების/სხვ. გაყალბების, ფალსიფიცირების ან მანიპულირების ფაქტების შემცველი ნაშრომის გამოცემის/სხვა ნებისმიერი გზით ლეგალიზების შემდგომ აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტების დარღვევის ფაქტების დადასტურების შემთხვევაში აკადემიური საბჭო მიმართავს ბნსუ-ს რექტორს ნაშრომის ავტორის და დაკისრებული მოვალეობების არასათანადოდ შესრულების გამო ნაშრომის ხელმძღვანელის, რეცენზენტის, ნაშრომის შემსწავლელი კომისიის წევრ(ებ)ის (ბნსუ-ს პერსონალის შემთხვევაში) მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყების მიზნით.

აკადემიური ეთიკის კოდექსის და აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტის დაცვის ვალდებულება

- სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში და/ან სამეცნიერო ნაშრომის შესწავლა-შეფასებაში ჩართული პირი ვალდებულია დაიცვას აკადემიური ეთიკის კოდექსი, მათ შორის - აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტი;
- ბნსუ-ში დაუშვებელია: პლაგიატი, ნაშრომში მითითებული ინფორმაციის/მონაცემების/სხვ. გაყალბება, ფალსიფიცირება, მანიპულირება;
- ნაშრომში პლაგიატის, ინფორმაციის/მონაცემების/სხვ. გაყალბების, ფალსიფიცირების ან მანიპულირების ფაქტების გამოვლენის პასუხისმგებლობა აკისრიათ ნაშრომის ხელმძღვანელს (სტუდენტის ნაშრომის შემთხვევაში), რეცენზენტებს და ნაშრომის შემსწავლელი კომისიის წევრებს;
- პლაგიატის, ინფორმაციის/მონაცემების/სხვ. გაყალბების, ფალსიფიცირების ან მანიპულირების ფაქტები უნდა იქნეს გამოვლენილი ნაშრომის გამოქვეყნების ან ნებისმიერი სხვა გზით ლეგალიზების მომენტამდე;
- გამოცემამდე ან გამოცემის/სხვა ნებისმიერი გზით ლეგალიზების შემდგომ ნაშრომში პლაგიატის, ინფორმაციის/მონაცემების/სხვ. გაყალბების, ფალსიფიცირების ან მანიპულირების ფაქტების დადასტურების შემთხვევაში პირი ვალდებული ბნსუ-ს სრულად დაუბრუნოს სამეცნიერო კვლევის, ნაშრომის მომზადების/თარგმნის/გამოსაცემად მომზადების/გამოცემის მიზნით ბნსუ-ს მიერ გაცემული (მათ შორის, პირის მიერ უკვე გამოყენებული) დაფინანსება. ასევე, პირი კარგავს განმეორებით იმავე ნაშრომის წარდგენის უფლებას;
- ბნსუ-ში მოქმედი აკადემიური ეთიკის კოდექსის, მათ შორის აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტის დადასტურებული დარღვევა იწვევს ბნსუ-ს შინაგანაწესით გათვალისწინებულ სანქციას. დარღვევის ფაქტის შესწავლა ხდება ბნსუ-ს შინაგანაწესში მითითებული წესით; აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტის დადასტურებული დარღვევის შემთხვევაში ნაშრომის ავტორისა და დაკისრებული მოვალეობების არასათანადოდ შესრულების გამო, ნაშრომის ხელმძღვანელის (სტუდენტის ნაშრომის შემთხვევაში), რეცენზენტების და ნაშრომის შემსწავლელი კომისიის წევრ(ებ)ის (ბნსუ-ს პერსონალის შემთხვევაში) მიმართ იწყება დისციპლინური წარმოება და მათ დაეკისრებათ შესაბამისი დისციპლინური სანქცია.

აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტების დარღვევის შემსწავლელი კომისია

1. კომისიის შექმნის გადაწყვეტილება მიიღება იმ შემთხვევაში, თუ არსებობს:
 - ა) ნაშრომის ხელმძღვანელის, რეცენზენტის ან სხვ. დასაბუთებული დასკვნა, დასაბუთებული ინფორმაცია/სხვ. აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტების დარღვევის შესახებ;
 - ბ) ნაშრომის ავტორის განცხადება, რომლითაც პირი აპროტესტებს დასკვნაში/ინფორმაციაში/სხვ. მითითებულ ფაქტებს. განხილვას ექვემდებარება მომზადებული და ნებისმიერი გზით ლეგალიზებული ნაშრომები. კომისია არის დროებითი და იქმნება ნაშრომის სფეროს/მიმართულების მიხედვით. კომისიის შემადგენლობა (მათ შორის თავმჯდომარის და მდივნის ვინაობა) განისაზღვრება რექტორის ბრძანებით;

2. კომისიის წევრები არიან შესაბამის სფეროში კომპეტენტური აკადემიური საბჭოს წევრები და/ან ბნსუ-ს აკადემიური პერსონალი და/ან ბნსუ-ს მოწვეული პერსონალი და/ან კომისიის მუშაობაში მონაწილეობის მიზნით მოწვეული პირები (მითითებულ შემთხვევებში აუცილებელია დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხი). კომისიის წევრი ვერ იქნება ნაშრომის ავტორი/თანაავტორი/რედაქტორი/რეცენზენტი/სხვ., აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტების დარღვევის შესახებ დასკვნის შემდგენი/ინფორმაციის წარმდგენი ან სხვა დაინტერესებული პირი (საქართველოს ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევები). კომისიის წევრებს გასაცნობად (ამონაბეჭდი სახით) გადაეცემათ ნაშრომი და თანდართული დოკუმენტები (დასკვნები, რეცენზიები, სხვ.). კომისიის წევრი ვალდებულია განაცხადოს ყველა იმ გარემოების თაობაზე, რომელმაც შეიძლება მას ხელი შეუშალოს საკითხის ობიექტურად განხილვაში და გადაწყვეტილების მიუკერძოებლად გამოტანაში, ასეთი გარემოების არსებობისას განაცხადოს თვითაცილების შესახებ;

3. კომისიის სხდომა არის დახურული. კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ განხილვას ესწრება კომისიის წევრთა 2/3. გადაწყვეტილება მიიღება სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით ღია კენჭისყრით, ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის პოზიცია;

4. კომისია უფლებამოსილია ინფორმაციის დაზუსტების და/ან კონსულტაციის მიზნით სხდომაზე მოიწვიოს დაინტერესებული პირი, ნაშრომის ხელმძღვანელი, რეცენზენტი, დამოუკიდებელი ექსპერტები, სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებების და დარგობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები და სხვ., რომლებიც არ მონაწილეობენ გადაწყვეტილების მიღებაში;

3. კომისიის მუშაობა და გადაწყვეტილება აისახება სხდომის ოქმში, რომელშიც მიეთითება: კომისიის დასახელება; სხდომის თარიღი და ადგილი; სხდომის თავმჯდომარის, სხდომის მდივნის, წევრების ვინაობა; სხდომაზე მოწვეულ/დამსწრე პირთა სია (არსებობის შემთხვევაში); დღის წესრიგი; გამოთქმული მოსაზრებები/კენჭისყრის შედეგები; მიღებული გადაწყვეტილება. ოქმს ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე და მდივანი. კომისიის მუშაობის შედეგი აისახება შესაბამის დასკვნაში (მიეთითება კომისიის სხდომის ოქმში), რომელიც გადაეცემა რექტორს, შემდეგ კი განსახილველად და გადაწყვეტილების მისაღებად - აკადემიურ საბჭოს.

აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტების თავიდან აცილება. აღნიშნულს ემსახურება:

- 1) ნაშრომების შემოწმება ანტიპლაგიატის პროგრამის გამოყენებით;
- 2) ყველა სილაბუსში (დამატებითი ინფორმაციის სტუდენტებისთვის) მითითებული ინფორმაცია აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტის დაცვის (მათ შორის, პლაგიატის დაუშვებლობის) და ამ დარღვევისთვის შესაბამისი დისციპლინური სანქციის დაკისრების შესახებ;
- 3) საინფორმაციო შეხვედრები აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტებისა და მათი დაცვის ვალდებულების შესახებ.

ამონარიდი - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, განხორციელების და განვითარების დებულება, დანართი №05 „სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესი“

მუხლი 17. აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტების დაცვის ვალდებულება. პლაგიატი

1. სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისას აუცილებელია აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტების დაცვა, მათ შორის წყაროების სწორი გამოყენება და მათი სათანადო მითითება. წყაროს გამოყენება მისი მითითების გარეშე პლაგიატად ითვლება, არ აქვს მნიშვნელობა წყაროდან გამოყენებულია ციტატა, მოხდა მისი ნაწილის პარაფრაზი, თუ მხოლოდ იდეა ან მოსაზრებაა აღებული წყაროდან - ყველა შემთხვევაში საჭიროა მიეთითოს შესაბამისი წყარო. მითითების გარეშე სხვისი ნააზრების გამოყენებასთან ერთად, პლაგიატად ჩაითვლება ასევე შემდეგი შემთხვევები:

- თუ წყაროდან მოტანილია ციტატა, მაგრამ არ გამოიყენეთ ბრჭყალები ან არ გამოყავით ის ციტატის აღმნიშვნელი აბზაციით.

- თუ კეთდება წყაროს პერიფრაზი (პერიფრაზი არის წყაროს ამონარიდის თქვენი სიტყვებით გადმოცემა), მაგრამ პერიფრაზი ძალიან ახლოს არის წყაროში მოცემულ ფრაზებთან, რადგანაც მისი მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილია შევლილი. პერიფრაზის დროს არ უნდა იყოს გამოკლებული წყაროს ტექსტი.

2. წყაროს გამოყენებისა და მითითების პრინციპების დაცვა აუცილებელია, კერძოდ: მკაფიოდ გამოყავით წყაროდან მოტანილი ციტატები და იდეები. ბრჭყალებში ჩასვით ციტატები; არასოდეს გააკეთოთ ტექსტთან ისე მიახლოებული პარაფრაზი, რომ მკითხველმა ორიგინალად ჩათვალოს. არასოდეს გამოიყენოთ ინტერნეტში განთავსებული მასალები მითითების გარეშე. მიუხედავად იმისა, მასალა ღიად, საჯაროდ ხელმისაწვდომია თუ

არა, თქვენ ვალდებული ხართ მიუთითოთ წყარო; მიუთითეთ ნებისმიერი ისეთი მასალის წყარო, რომელიც სხვას ეკუთვნის და რომელიც თქვენ არ შეგიქმნიათ;

3. სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისას დასაშვებია მაქსიმუმ 15%-იანი თანხვედრის ზღვარი;
4. თუ წარმოდგებილი ნაშრომის შესწავლის (მათ შორის, ანტილაგიატის კომპიუტერული პროგრამით შემოწმების) შედეგად დადგინდება ციტატების/მონაცემების/სხვ. გამოყენების, წყაროების მითითების, ინფორმაციის არაკორექტული გამოყენების (პლაგიატის ან ინფორმაციის გაყალბების, ფალსიფიცირების, მანიპულირების ნიშნების მქონე), თანხვედრის დადგენილი 15%-იანი ზღვარის გადაჭარვება ან სხვ. დარღვევები, მაშინ შემოწმების შედეგების შესახებ ეცნობა ნაშრომის ავტორს და მას ეძლევა ვადა (05 კალენდარული დღე) ხარვეზების გამოსასწორებლად. მაგისტრანტი, ხელმძღვანელთან კონსულტაციებით, ვალდებულია დადგენილ ვადაში აღმოფხვრას ხარვეზები და წარმოადგინოს ნაშრომი განმეორებითი შემოწმებისათვის;
5. ზემოთ მითითებულ შემთხვევაში ნაშრომის ავტორმა შეიძლება გაასაჩივროს მიღებული შემოწმების შედეგები, მოითხოვოს საკითხის განხილვაზე დასწრება - განმარტოს აღნიშნული ფაქტები და დაასაბუთოს საკუთარი პოზიცია. დასაბუთებული განმარტების არარსებობის შემთხვევაში მიიჩნევა, რომ ნაშრომის ავტორი ეთანხმება მიღებულ შემოწმების შედეგებს;
6. ნაშრომში ხარვეზების გასწორებაზე უარის თქმის, მითითებულ ვადაში განმეორებითი შემოწმებისთვის ნაშრომის არ წარდგების ან განმეორებით წარმოდგენილ ნაშრომში აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტების დარღვევის დადასტურების შემთხვევაში ნაშრომი არ დაიშვება საჯარო დაცვაზე და ნაშრომის ავტორი კარგავს იმავე ნაშრომის განმეორებით წარდგენის უფლებას.